

საქართველო

საქართველოს დამატება

გაზეთის № 18

დამატების № 4

პირა, 24 იანვარი, 1916 წ.

სახეო ასეარეზე 30 წლის მოღვაწეობის
შესრულების გამო



ელ. ჩირმაზიშვილი



საქართველო

ელისაბედ ჩერქეზიშვილი სხვა და სხვა როლში

გ. ლეონიძის ლექსიზი

I

ჩურუმთა

აქ რა მინდა, აქ რად მოველ
ვხედავ სოფელს ბნელს და ვიწროს
მეშინია, აქ სიკვდილმა არა მპოოს არ მომისწროს...
აქ წვიმაა ცრემლებისა: ცრემლი ლამით, ცრემლი დილით
მზე... პეპელა... სიყვარული შემოსილა აქ სიკვდილით...
მეც აქ დავალ... ვეძებ სიკვდილს. ვეძებ ქვეყნად ვეძებ ცაში
და თან ვდნები როგორც თოვლი
გაზაფხულის სიმღერაში...

საღამოთი, როცა ტოკას ვარსკვლავებთან ლრუბლის მკერდი
მე ყვავილთა სილამაზით
უკვდავ მთვარეს მიგახერდი

და ვეტყოდი:
ისე მიყვარს სახე შენი დაქანცული,
ვით პეპელას თიბათვეში თეთრზამბახის თეთრი სული...
(როს ზამბახი თიბათვეში სამუდამოდ ჩამოჰქმება,
სული მისი ცისკენ წავა და პეპელაც თან აჲყვება.)
და მითხარი როს დავკენები მეც შემმოსავს უკვდავება?..
მითხრა მთვარემ:

როს გუნდრუკი წითელ ცეცხლით დაიწვება,
განუსაზღვრელ ლტოლვით სავსე—
ჩემსკენ პერთება მისი ბოლი
და თეთრ მკერდზე დამეჭმევა უკვდავებით ანათროლი.
მაგრამ მერე? როს ამოვა
მზე ვით ვარდი, ვითა ბროლი
ის გაპერება დილის სიტყვით, დილის ბგერით განაქროლი.
და რა ვიცი...

და შეირხა ალვის ტანი, ალვის ტოტი,
აქანჯალდა სუსამბარი, აქანჯალდა ბზის წალკოტი...
ათამაშდნენ: ოტარიდი, მარიხი და კიდევ სხვანი
და დაიძრა თეთრი მთვარე და ლრუბლების ქარავანი...
და დაბნელდა...

ცისკრიად როცა სხივი ჰკოცნის ნისლის კულულს,
როს პეპელა დასციგლიგებს დილის ცვარ-ნამს ჩამოწურულს—
სოჭვა ბილილმ:

სულო ჩემო, რა ცელქია უხილავი
წუხელ ალარ მოგვასვენა, ხან მოგვიძლვნა კოცნა მწვავი
ხან დალალი დაგვეშალა მთვარის ლომით განაყვავი..
აამლერა ყვავილო რაზმი, ააშფოთა ჩუმი ზლები
და სიცილით შეათროთოლა ლამის თეთრი ვარსკვლავები...
— ? ? ! ? ! ?

ჰო და.. ჩემო, მის სიცილზე დღეს ჰყვავიან ყვავილები.
აბა ჰყითხე რისთვის ჰყვავი, აბა ჰყითხე რად იშლები?

არ იციან, ალარ ახსოვთ—
დასაბამი—დასასრული

სტირიან და იტყოდიან: უხილავო, რად ხარ კრული?
უხილავო, რისთვის ვღნებით
ვით ლრუბელი მეწამული?
დაგვასვენე გეყო, ცელქი...
დაგვასვენე შფოთავს სული..
და რად გინდა ვიყვეთ უცხო, რად გსურს ვიყვეთ ასე შორი?
რად გსურს გაექრეთ ვით ზლაპარი,
ვით გიუმაუი მეტეორი?...

II

სულის თათრი ლეგენდა

გლოცულობდი...


ლამის ცრემლით გაიყინა ლოცვის ბაგე..

ჭიშკრის გზანი ვაყვავილე და ვარდებით გზა დავაშენ...
მოვედ სულის დედოფალი და ლიმილი შემომავე—

შენი სულიც დავინახე ვით პეპელა ყვავილებში

იგი სიკვდილს არა გრძნობდა

და ცეკვაშენ ცისკრის ხმებში.



აკაკი, გარდაცვალებიდან ერთი წლის
შესრულების გამო.



ვაჟაფშაველა, გარდაცვალებიდან
ექვენი თვის შესრულების გამო.



ვაჟა და ზაჟგიძე.

იყო წმიდა ორგორც თოვლი ქალწულ ცრემლად დაფრჩეული,
მიწიერმა ვით ვთქვა ქება, ისე წმიდა იყო სულ...

და წახველი...

ნარგისმა სუკვა:

სამარემ არ შეიწყნარა

შერცხვა თვისი და ყვავილი ბროლის მკრდზე დაგეყარა.

სთქვა ბულბულმა:

სიკვდილშიგან იყო ისე მშვენიერი

რომ სიკვდილმაც შეიცვალა სახე თვისი და რერი.

და მეც ვამბობ: არ ყოფილა არც სამარე, არც სიკვდილი

გარდაქმნაა ყოველივე

გარდაქმნაა შენი ჩრდილი.

2.

იქნებ გითხრას ბროლის მთვარემ,

მე ვინ მომცა ქვეყნად ბინა,

ან რადა სწამთ აქ სიკვდილი,

ან რა ძალამ გვაგრძნობინა..

ჰყითხე ჩემო, იქაც ჩემო,

დილის შემდეგ რად ჰყრის ღამე,

მიწაზედან რისთვის იყავ, რად იცრებლე რად ეწამე?

და თუ გეტივის დილის ნიავს, დილის ლექსად დააბარე

რომ წმიდაა შენი მხარე—

რომ სიკვდილი—უკვდავების ზიარების არის მუენი,


რომ ღიმილით ეზარე

კისკრის ფრთებით ანაფრენი...



Nicolai.

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი.
ლტ-ლეიტონი თავის სამშობლოდან



„სოჭლის ურალობაზე“ ნანატი ა. გ. ციმაკურიძისა.

დარღი გულია

ნეტავ ნანატი წუთს რად ველოდი მე მოუთმენლად?
ან რად ვნატრობდი მე მის ნახვას მოუსცენარი?
თუ ისიც ისე გაპერებოდა მოულოდნელად,
როგორც სამო სიყმაწვილის ტკბილი სიზმარი?..

ადრე დავკარე სიამენი წუთი სოფლისა;
მალე გაპერება თვით სიცოცხლეც გაუხარელი...
და აღარ ვიცი ვის შეეჩივლო დარღი გულისა,
დარღი გულისა და ნაღველი გამოუთქმელი!..

ქარი.



ქართველი მომღერალ-მეცნიერებულთა
გუნდი მოხელე ქავსაძის ზღვმეტან კონკით. ხორ კრესტიან
2. თემა.

1910 წ.

1901 წ. 31 იავერის კონცერტის გამო.

უკავილები

შევენიერი ყვავილები
შებოჭილი ყაითანით,
ბროლის გაზით მშვენებენ
მდიდრულ სუფრას მოქლე ხანით!

აქ ყავილი წითელყა
ელიმება მხოლოდ წარსულს;
თვით არ იცის ეგ განცხომა:
რად არ მოსწონს, რად არა სურს?

და ზამბახი ფერ მიხდილი
თავსა ძირს ხრის ნაზად ზრდილი;
მომფერებელ ხელს ვერა გრძნობს
დაქანცულა, მოსდის ძილი.

ეს ნარგიზი შავთვალ-წარბა
შნიანად მორხეულა,
ნალვლიანი შორს გასცემის
იაღნის ხმის ჩვეული.

*
ზაფრიანი ყვავილები
ვერ მიმხდარან რად კენებიან;
სუფრას ვისთვის ამშვენებენ
მათის სუნით ვინ სტკებიან?

*
მაგრამ ყველა ერთს განიცის,
ყველას უყვარს იგი ხელი;
ვინც შოკრიფა ფაქიზ გრძნობით.
ვინც შინენა მათოვის ხელი!

*
მერე მათი მოტრფიალე
რად არ უნის სუფრას თავში?
ნუ თუ ადრე მოსწერნია
წამნი ტებილნი მათ ყნოსვაში?

*
არა! იგი დაჭრილია
ერთი ვარდის ეკლისაგან;
მიტომ შორე გაჭრილია,
შეკრობილი სევდისაგან!!
კოშია ერისთავი.

მინდა მიუვარდე!..

(ტეტრაირიდან)

მინდა მიყვარდე შენ, მხოლოდ შენ
მთელი ჩემი ასებით, სისხლით,
ტეინით, გულით, სრული ჩემი ნების-
ყუუით, მთელი ჩემის ძალ-ღონით,
ჩემი სულით, სხეულით...

მინდა მიყვარდე სულ, ჩემ სიცოცხ-
ლეში—სიკვდილამდე. მინდა მიყვარ-
დე, შენ გაქებდე, ღმერთად გასახვდე,
გაღიდებდე. მხოლოდ შენთვის, შენ-
თვის მინდა ვიყო კეთილი, მშვიდი,
მოლვწე, გმირი, ყოველ გვარ საგმორო
საქმეში. მე გვრძნობ, თანდათანობით
ვგრძნობ, რომ შენ თვალ-წინ მიშლი
ახალ სიცოცხლეს, ცხოვრებას ბედ-
ნიერებისას, სიმშვენიერე—სილამაზი-
სა.... შენ ცეცხლი ხარ, გენია, რო-
მელიც სწვავს ჩენში ყოველივე ცუდს,
მავნებელს.... შენ წყალი ხარ, ოკეანე,
რომელიც მბანს, მასუფთავებს ყო-
ველგვარ უსუფთაობის ტალახილან...
შენ—სიმბოლო ხარ!

გრ. საქარისელი.

სევდის ჰანგაზი

იური ფულაბეგი—შეგობარს.

გახსოვს?—მეგობარო, ის წლები,
ჩენ რომ ერთად გავატარეთ?

გახსოვს?—ჩენი გაერთაანებული
გრძნობა-აზრები, ჩენი აღმაფრუნა,
ჩენი ღუნება—გიუშრი და ამაყი რც-
ნება მთელ ქვეყანას რომ ოქროს სხი-
ვებით მოსავლენ?

ას, რა მშვენიერად გვესმოდა ჩენ
ერთმანეთისა იმ ნეტარ ღროს მეგო-
ბარო!

ჩენ გვწამდა მაშინ ყველაფერი—
რისაღმი რწმენაც ჩენს ღროში ასე
ძნელია: გვწამდა საკუთარი ძალისა,
აღიმიანთა სიკეთილე და სიყვარულიც
სამართლიანობაც და, მომავლი—
ბრწყინვალე, სხივოსანი, მხიბლავი მო-
მავლი!

და ყველაფერი ჩენს ირგვლივ მა-
შინ იყო ისე წარმტავი და მშვენიე-
რი, ისე ფართე, თვალუწედენი და
უსაზღვრო—ეს მაშინ, მეგობარო, იმ
გასოცარს, საზღაპრო ქვეყანაში—სა-
დაც ჩენი სულები დაუბრკოლებლად
დაჭრინავდნენ.

დაჭრინავდნენ უზატოდ იმ უწვდენ
მთათა კალოებზე, იმ ბროლის ტბათა
ტალღებში აი, იმ მარობელს ლაჟა-
ვარდ სივრცეში—მეგობარო!

სადღა არის ეხლა ეს ჩენი შეიძლოა
ვი, წარმტაცი ქვეყანა—ჩემი შეგობა-
რო! ჩენი რწმენა, ჩენი იმედები,
ძალა, ოცნებები—სადღა არის ჩენი
მეგობრობა?

და, აი, ეხლა მე გხვდები შენ და
ჩენ ხანგრძლივად გუცემერთ ერთმა-
ნეთს თვალებში—მაგრამ ჩენი თვა-
ლების სხივები ველარ სწვდებიან სუ-
ლის სიღრმეს, სდუმან და ხელის ჩა-
მორთმევის ღროს ჩენ აღარა ვგრ-
ძნობთ ეხლა იმ, ქარტეხილივით ძრი-
ებს, გულიდან ამოხეთქილ სიწრფე-
ლეს—რომელიც ოდესლაც ჩენ ერთ-
არსებად გვემნიდა!

და ჩენ ეხლა როვე გულის ტკი-
ვილით ვფიქრობთ (რაღაც მე ვიცი,
რომ შენც ასე ფიქრობ!) რომ ჩენ
უცხონი ვართ, შორეულები!

მეგობარო!

მე ვიცი რომ გაგვთიშა ჩენ: სირ-
ცხილმა მეგობარო—სირცხილმა გა-
ვთიშა!

ჩენ გვრცხენია ეხლა—არა იმ წარ-
სულ რცნებათა—რომლის სიუხვე ჩენ
გვალფრთოვანებდა. არა იმ გაღდა-
ცვლილ რწმენის—რომელიც ჩენ გვა-
სულდგმულებდა—

ჩემ მეგობარო!

ჩენ გვრცხენია იმისი—რომ ეხლა
უვე ჩენს სრულიად აღარ ვოცნებობთ
რომ ჩენ სრულიად აღარაფერი
გვწამს!

აცრემლდი მეგობარო!

თ. დანელი.

ანაქარეონის რდევი

ამური.

გარდაწყდა და მე; ასე მსურს: მიყვარს, კიდეც მეყვარება!
მსური კი მირჩეს: „ფრთხილად!“ ოდნავაც არ მეკარება!
მაგრამ არ მსურს დავუჯერო, ამ ცელქ-გიგმას რალის ვეითხავ?
მის ტიტინსა ალერსად ვთვლი, ვაპატიებ, არ გავკიცხავ.
რაკი რჩევა არ მივიღე, ის გამანჩლდა, ადგა ხელად,
ოქროს შევლდი წამოჭიდა და გამიხმო საბრძოლველად.
მეც, ვით ძეველად აქილესმა, სწრაფ აეისხი აბჯარ-ხმალი,
სიყვარულის პატარა ღმერთს ვთო გავექცე როგორც მფრითხალი?
მტყორცნა ერთი, მტყორცნა კვალად, წვმა-სეტვეად არ მაცალა,
თან კივილით შემიტია, გმირს ელფერი შემიცვალა.
გავექცე, გამომიდგა, მგრგვინავ ელვის რახტსა ჰევანდა,
ისარი რო შემალია, თვითვე ისრად გამოჰქანდა.
ფარი ავკარ, ქვეშ დამისხლტა, გულთან ცეცლი დამაკვესა,
ძირს დამცა და დაკოდილი მწარე გმინებით ამაკნესა.
ებ, ყველი ამარა, განმაშორეთ ეს ფარ-შუბი,
რაღას ვაქნებ მუხარადსა, დაე, შიშვლად მქონდეს შუბლი,
ციხე-ბურჯი ამარა, გალავანიც არ გალავონბს,
ოდეს მტერი შევნით უფლობს, თვის ნებაზე დაგფალავნობს!

Candidate.

